

ბრიტნი სპირსს სიმღერა აღარ შეუძლია

ბრიტნი სპირსმა გადაწყვიტა სცენა დატოვოს და თავის მშობლებთან გაემგზავროს. იგი გადაიღალა და ამასთან ერთად, მძიმედ გადაიტანა ცივი შეხვედრების სერია მეხიკოსა და მოსკოვში. ამბობენ იმასაც, რომ ბრიტნი გონს ვერ მოსულა ჯგუფის წევრ ჯასტინ ტიმბერლეიკთან განხეთქილების მერე. "ნიუ იორკ ტაიმსის" ცნობით, მომღერალი მინიმუმ ორი წლით აპირებს სცენის დატოვებას. მთელი ამ ხნის განმავლობაში გადაღლილი მომღერალი თავის მშობლიურ ქალაქ კენტვუდში იქნება. მაგარმ მისი აგენტი აცხადებს, რომ ინფორმაცია ორწლიანი შევბუღების შესახებ გადაჭარბებულია და ბრიტნი სპირსი ძაღვების აღადგენას ნ თვეშიც შესლებს.

ჰიტლარი მილიონარი ყოფილა

ავსტრიული და გერმანული სახელმწიფო ტელეარხები უახლოეს დღეებში რეჟისორი პელმის ახალი დოკუმენტური ფილმის, "ჰიტლერის ფულეების" ჩვენებას აპირებენ. ფილმის რეჟისორის თქმით, ფიურერს სახელისა და ძალაუფლების მოხვეჭის სურვილთან ერთად, ფულისა და ფუფუნებისადმი დაუოკებელი ჟინიც ჰქონია. პელმის ვერსიით, ჰიტლერი ძალიან ძუნწი ადამიანი ყოფილა. იგი არასდროს არ იხდიდა გადასახადებს, კრედიტორებს სახელმწიფო ხაზინიდან უსწორდებოდა და თაღლითობდა საავტორო უფლებებით: მხოლოდ ერთი "ნაწარმოებისათვის" დაუმსახურებლად რამდენიმე მილიონიანი ჰონორარი მიიღო. თურმე ჰიტლერი დიდ ყურადღებას აქცევდა მისი წერილებისა და შრომებისათვის დაწესებულ შემოსავლებს, რაც საავტორო უფლებებისათვის ეკუთვნოდა. "ჩემთვის ეს ძალიან მოულოდნელი იყო, აბსოლუტურად გამიფერმკრთალდა ის წარმოდგენები, რაც მასზე პროპაგანდით მქონდა შექმნილი", აღნიშნა რეჟისორმა. ახალი გამოკვლევების თანახმად, ჰიტლერს პოლონეთში სასახლის საიდუმლო რეკონსტრუქციაში იმდროისათვის უზარმაზარი თანხა - 2 მილიონი რეიხსმარკა ჰქონია ჩადებული. იგი თურმე ამ სასახლეში აპირებდა გადარბიანებას. 1945 წლამდე ეს სასახლე "მესამე რეიხს" 20 მილიონი რეიხსმარკა დაუჯდა.

ჯაქსონი ბათჰოვანისა და ბახის ადგილს დაიკავებს

ასე უნდა მოხდეს გერმანიის სკოლებში, ყოველ შემთხვევაში, ამის იმედი აქვს გერმანიის კულტურის მინისტრს იულიან ნიდა-რუმელისს. მან როკის და პოპის მუზეუმში ვიზიტისას განაცხადა, რომ "შეუძლებელია, კლასიკური მუსიკის საშუალებით, მოზარდები ხელოვნებით დააინტერესო". მინისტრის აზრით, მასწავლებლებმა ბავშვებს იმ სიმღერებით უნდა დაუწყონ სწავლება, რომლებიც თავად მოზარდებს მოწონთ. კულტურის მინისტრი წუხს, რომ ათწლეულების მანძილზე როკი და პოპ-მუსიკა სკოლებში დაუპატიჟებელ სტუმრებად ითვლებოდნენ. გერმანიის სკოლებში მუსიკალური განათლების ახალი სისტემა 2003 წლიდან დაინერგება.

მადონამ სცენა ნიგნის გამო მიატოვა

პოპ-ვარსკვლავმა მადონამ და მისმა მეუღლემ, პროდიუსერმა გაი რიჩიმ განაცხადეს, რომ მუსიკალურ სცენასა და კინემატოგრაფს დროებით ტოვებენ. ისინი ნიგნის დაწერას აპირებენ, რომელიც, ჩანაფიქრის მიხედვით, საბავშვო უნდა იყოს. როგორც ამბობენ, ეს იქნება ისტორია გოგონას შესახებ, რომელიც თეატრზე ოცნებობს. დამკვირვებლების თქმით, იდეა აშკარად თავად მადონას ეკუთვნის, რომლის თეატრალური დებიუტი ახლახან შედგა. მომღერალი ძალიან ნერვიულობს, რომ ნიგნი მის ქალ-ვაჟს, ლურდესსა და როკოს არ მოეწონებათ. მათ თურმე მშობლებისაგან უკვე ბევრი ზღაპრული ისტორია აქვთ მოსმენილი და ამიტომაც მოსალოდნელია, მათ შემოქმედებით ტალანტს ობიექტური ვერდიქტი გამოუტანონ. მადონას დებიუტი ლონდონში - Wyndhams Theatre-ში მაისში შედგა. ავსტრალიელი დრამატურგის დევიდ უილიამსონის სპექტაკლში - Up For Grabs ("აილე - არ მინდა"), მომღერალმა არტ-დილერი ითამაშა. პრემიერაზე მაყურებელი მადონას დიდი აღფრთოვანებითა და ოვაციებით შეხვდა. თუმცა, კრიტიკოსების შეფასება საკმაოდ ნეგატიური იყო, პოპ-ვარსკვლავს "მექანიკური გოგონა" უწოდეს.



საქართველოში ქავერი

მ-07

